

პრესრელიზი

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ვეფხვაძემ გაფართოებულ შეხვედრაზე კანონში დაგეგმილი ცვლილებები კომპანიისა და ენერგეტიკის პირველ პირებთან ერთად განიხილა

26 სექტემბერს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ენერგეტიკის კომიტეტმა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა და სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელ პირებს უმასპინძლა.

კომიტეტზე, რომელსაც ასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონში შეტანილი 30 ივნისის ცვლილებები განიხილეს, რომლის მიხედვითაც მომავალი წლიდან კომპანიების ნაწილს უჩნდებათ ბაზარზე ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებლად დარეგისტრირების ვალდებულება, ასევე, 13 მეგავატიდან 40 მეგავატამდე იზრდება დერეგულირებული ელექტროსადგურების ზღვარი.

კომიტეტის ხელმძღვანელმა ლევან ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ შეხვედრაზე გამოკვეთილ პრობლემებზე მუშაობა გაგრძელდება ენერგეტიკის სამინისტროსთან, რათა ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლა ბაზრის მონაწილეებისთვის უმტკივნეულოდ განხორციელდეს.

ელექტროენერჯის წარმოება-გადაცემა-მიწოდების ტარიფებზე, ბაზრის არსებულ მოდელზე, პროცედურებზე და იმწესებზე, რაც ელექტროენერჯის პირდაპირ შესყიდვას უკავშირდება, ისაუბრეს სემეკის თავმჯდომარემ, ირინა მილორაჯამ, ესკოს გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ამბოკაძემ და სახელმწიფო ელექტროსისტემის ოპერატიული დაგეგმვისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის სამსახურის უფროსმა მიხეილ თავბერიძემ.



პრესრელიზი

შეხვედრაზე დამსწრე კომპანიების წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს იმ მოსალოდნელ სირთულეებზე, რაც ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლებად დარეგისტრირების შედეგად შეიძლება წარმოიშვას. ასევე, კომპანიებისთვის არ არის ნათელი, როგორი იქნება მოხმარება მიწოდების ბალანსი და რამდენად აისახება ეს ფაქტორი შესასყიდი ელექტროენერჯის საბოლოო ფასზე.

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

